ბრძანება:**ბ58.58212092**
თარიღი:**28/07/2021**

მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ელექტრონული აუქციონის (პირობებიანი/უპირობო) ფორმით პრივატიზებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ე“ პუნქტის ,,ე.ე“ და „დ.ლ“ ქვეპუნქტების, 115-ე მუხლის, 118-ე მუხლის პირველი პუნქტის, 119-ე მუხლის, საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 52-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის მუდმივმოქმედი კომისიის 2021 წლის 30 ივნისის N3 სხდომის ოქმის და ,,მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ნუსხის და მარტვილის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების თაობაზე მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 21 ივლისის N 29 განკარგულების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადებული იქნას უპირობო ელექტრონული აუქციონი მარტვილის მუნიციპალიტეტის ქ. მარტვილის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე 70 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ N41.09.34.300) პრივატიზების მიზნით. პრივატიზაციისთვის საწყისი თანხის ოდენობა განისაზღვროს 3500 ლარით, „ბე“ 1050 ლარით „ ბიჯი“ 350 ლარის ოდენობი

2. გამოცხადებული იქნას უპირობო ელექტრონული აუქციონი მარტვილის მუნიციპალიტეტის ქ. მარტვილის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე 1451 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ N 41.09.37.537) პრივატიზების მიზნით. პრივატიზაციისთვის საწყისი თანხის ოდენობა განისაზღვროს 87100 ლარით, „ბე“ 26130 ლარით „ ბიჯი“ 8710 ლარის ოდენობით

3. გამოცხადებული იქნას უპირობო ელექტრონული აუქციონი მარტვილის მუნიციპალიტეტის ქ. მარტვილის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე 29 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ N41.09.32.239) პრივატიზების მიზნით. პრივატიზაციისთვის საწყისი თანხის ოდენობა განისაზღვროს 2900 ლარით, „ბე“ 870 ლარით „ ბიჯი“ 290 ლარის ოდენობით

4. გამოცხადებული იქნას უპირობო ელექტრონული აუქციონი მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფ დიდიჭყონის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე 999 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობა ნაგებობა N1; N2 (ს/კ N41.15.35.552) პრივატიზების მიზნით. პრივატიზაციისთვის საწყისი თანხის ოდენობა განისაზღვროს 25300 ლარით. „ბე“ განისაზღვროს 7590 ლარით ,,ბიჯი“ განისაზღვროს 2530 ლარით

5. გამოცხადებული იქნას უპირობო ელექტრონული აუქციონი მარტვილის მუნიციპალიტეტის ქ. მარტვილის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე 213 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ N41.09.34.302) პრივატიზების მიზნით. პრივატიზაციისთვის საწყისი თანხის ოდენობა განისაზღვროს 6400 ლარით. „ბე“ განისაზღვროს 1920 ლარით ,,ბიჯი“ განისაზღვროს 640 ლარით

6. ბრძანების შესრულება დაევალოს მარტვილის მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვასთან დაკავშირებით შექმნილ კომისიას და მანვე უზრუნველყოს სააუქციონო განცხადების გამოქვეყნება ვებ.გვერდზე www.eauction.ge-ზე

7. განისაზღვროს ელექტრონული აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი, კერძოდ: 2021 წლის 3 აგვისტოს 14.00 საათიდან 2021 წლის 13 აგვისტოს 16:00 საათამდე.

8. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი განახორციელოს მერის პირველმა მოადგილემ ალექსანდრე ხურცილავამ

9. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

10. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. სენაკი, შ. რუსთაველის ქ N 247) მისი www.eauction.ge-ზე, გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ალექსანდრე გრიგალავა

მარტვილის მუნიციპალიტეტის მერია-მერი